



სარაგაულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2019-2022 წწ.

სარაგაულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების მათი აღწერის,

მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

2019 წლისთვის შემუშავდა 2019 – 2022 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება; განათლება; კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი; თავდაცვა საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდა 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომელიც ყველაზე აქტუალურია საზოგადოებისათვის.

2017 წელი- ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, და ნაშთის ცვლილების გეგმა განისაზღვრა 16 188,6 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 16 087,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99,4 %-ი.

ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 15 500,5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 495,8

ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში მხოლოდ 5,7 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რამაც გეგმის 99,96 % შეადგინა. მათ შორის:

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 15398,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (15500,5 ათასი ლარი) 99,3 %.

გადასახადების სახით მობილიზებულია 1300,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 1300,0 ათასი ლარის 100 %-ია. წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 1268,3 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 32,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

აკუმულირებული თანხის უდიდესი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის. ქონების გადასახადიდან მიღებულია 1105,3 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 180,6 ათასი ლარი, მიწის გადასახადი - 924,7 ათასი ლარი.

გრანტების სახით მიღებულია 13059,9 ათასი ლარი, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 3834,1 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის) – 138,0 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია - 6127,7 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით - 2581,6 ათასი ლარი და მაღალმთიანი განვითარების ფონდიდან 378,5 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 1038,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 1115,0 ათასი ლარის 93,2 %-ია.

ათასი ლარი

დასახელება	2017 წელი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	15500,5	15398,9	-101,6	99,3
გადასახადები	1300,0	1300,3	0,3	100,0
გრანტები	13 085,5	13059,9	- 25,6	99,8
სხვა შემოსავლები	1115,0	1038,7	-76,3	93,2

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2017 წელს მობილიზებული იქნა 95,9 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 72,6 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 23,3 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 0,6 % -ს შეადგენს.

2017 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 7729,7 ათასი ლარი, ხოლო 2017 წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა - 4 723,4 ათასი ლარი.

2017 წელს **გადასახდელების** საკასო შესრულება 11501,1 ათას ლარს ანუ დაგეგმილი 16188,6 ათასი ლარის 71,0 % -ს შეადგენს, მიუხედავად შესრულების საშუალო მაჩვენებლისა აღასანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მაგ: 2014 წელს - 11 113,1 ათასი ლარი- 95,7 %; 2015 წელს - 9 929,7 ათასი ლარი - 92,6 ; 2016 წელს - 9302,9 ათასი ლარი- 92,7 %.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- ❖ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 2080,7 ათასი ლარი;
- ❖ თავდაცვა – 83,8 ათასი ლარი;
- ❖ ეკონომიკური საქმიანობა – 5108,0 ათასი ლარი;
- ❖ გარემოს დაცვა – 614,4 ათასი ლარი;
- ❖ საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 372,2 ათასი ლარი;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა – 126,9 ათასი ლარი;
- ❖ დასვენება, კულტურა და რელიგია – 1152,3 ათასი ლარი;
- ❖ განათლება – 1337,8 ათასი ლარი;
- ❖ სოციალური დაცვა – 625,0 ათასი ლარი.

2017 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 11 501,1 ათასი ლარი, აქედან

- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 6094,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (10711,1 ათასი ლარი) 56,9 %-ია;
- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 5040,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (9534,3 ათასი ლარი) 52,9 %-ია;
- კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 799,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (890,4 ათასი ლარი) 89,8 %-ია;
- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები 187,0 ათასი 100 %;
- სოფლის მხარდამჭერი პროგრამა წინა წლის ნაშთებიდან 66,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (80,4 ათასი ლარი) 82,3 %-ია;
- განათლება - 1337,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (1351,4 ათასი ლარი) 99,0%-ია;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 1152,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (1162,8 ათასი ლარი) 99,1 %-ია;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პროგრამები 751,9 ათასი ლარი რაც გეგმის (755,4 ათასი ლარი) 99,5 %-ია;
- თავდაცვა 83,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (84,0 ათასი ლარი) 99,8 %-ია;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 2080,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (2123,9 ათასი ლარი) 98%-ია.

- გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები დაგეგმილი 9350,8 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 4 973,2 ათასი ლარი, მათ შორის 4 777,2 ათასი ლარი გაწეულია სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან, აქედან:
 - საქ. მთავრობის N 480 განკარგულებით (14.03.2017 წ.) დახარჯულია 2 649,8 ათასი ლარი, რეაბილიტაცია ჩატარდა საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში ვანისა და ჩხერის გზებს, წყალაფორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ხონი-ლახუნდარის გზებს, ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ წაქვის გზას,

ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ მაქათუბნისა და ვაშლევის გზას, ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ღარიხევის გზას, მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ქვებისა და ნებოძირის გზას, სოფელ ვახანის ცენტრალურ გზას, სოფელ ლაშის იგორეთის საავტომობილო გზას, სოფელ ხიდარში სკოლასთან მისასვლელ გზას, სოფელ ვარძიაში პირველი უბნის გზას, სოფელ გოლათუბნის ცენტრალურ გზას და სოფელ ვერტყვილის სასოფლო გზას.

ჩამოთვლილი გზების უმრავლესობა დასრულდა 2017 წელს, ხოლო რამდენიმე პროექტი მათ შორის ვანის, ჩხერის, ხონი-ლახუნდარის, ქვების, ნებოძირის და ვახანის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება და დაფინანსება გაგრძელდება 2018 წელს.

საქ. მთავრობის 2017 წლის N 1401 განკარგულებით (06.07.წ) დახარჯულია 1 396. 6 ათასი ლარი, აღნიშნული ხარჯები მოხმარდა ფარცხნალის, ლედვის, ლახუნდარის, ლედვან-მარელისის, ჩრდილის, კიცხის, ღვერკის, ხემაღალის, საქარიქედის, დაბა ხარაგაულის ქუჩების და ჩიხების რეაბილიტაციას. ჩამოთვლილი გზები და 2017 წელს დასრულდა მხოლოდ ფარცხნალის, ლახუნდარის და საქარიქედის გზების რეაბილიტაცია, დარჩენილი პროექტები გრძელდება 2018 წელს .

საქ. მთავრობის 2017 წლის N 693 განკარგულებით (06.04) მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დახარჯულია 241,8 ათასი ლარი და მოხმარდა წიფის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გოლათუბნისა და სოფელ წიფის გზების მობეტონებას, 2017 წელს დასრულდა მხოლოდ გოლათუბნის გზა. წიფის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები გადმოტანილია 2018 წელს.

2017 წელს N 1679 განკარგულებით მუნიციპალიტეტმა დაზიანებული გზების სარეაბილიტაციოდ დახარჯა 162,3 ათასი ლარი, საბიუჯეტო წლის დასარულს N 2712 განკარგულებით (27.12) მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოეყო 1650,0 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად გადმოტანილია 2018 წლის ხარჯებში.

წინა წლების (N 1148, N 1533, N 175, N 39) განკარგულებებით სახელმწიფო ფონდების ნაშთებიდან გზების რეაბილიტაციაზე დახარჯულია 326,8 ათასი ლარი.

გარდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებისა გზების რეაბილიტაციაზე მუნიციპალიტეტმა თანადაფინანსების წესით საკუთარი სახსრებიდან დახარჯა 196,0 ათასი ლარი.

- ხიდების და ხიდ-ბოგიერების რეაბილიტაციაზე გასულ წელს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი 173,5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 57,1 ათასი ლარის სამუშაოები, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი სახსრებიდან სტიქიით დაზიანებული ხიდ-ბოგიერების სარეაბილიტაციოდ გაწეულია 19,6 ათასი ლარი და საკუთარი სახსრებით 37,5 ათასი ლარი.
- მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტმა დახარჯა 10,0 ათასი ლარი;
 - სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების მოწყობა და გაწმენდა 17,8 ათასი ლარის ოდენობით.
 - დასუფთავების ღონისძიებების სუბსიდირებაზე გასულ წელს დაიხარჯა 596,6 ათასი ლარი,
 - წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია 6,3 ათასი ლარი.
 - გარე განათების სუბსიდირებაზე 172,8 ათასი ლარი.
 - კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობაზე 6,1 ათასი ლარი, ელექტრო-გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ხარჯი.
- პარკების და სკვერების სუბსიდირებაზე -187,0 ათასი ლარი.
- სკოლამდელი დაწესებულებების სუბსიდირებას მოხმარდა 958,7 ათასი ლარი, კიციხის სკოლა- ინტერნატის სუბსიდირებას 104,7 ათასი ლარი და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებას 99,8 ათასი ლარი.
- განათლების ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფის პროგრამაზე მუნიციპალიტეტმა 2017 წელს დაგეგმილი 188,0 ათასი ლარიდან დახარჯა 174,6 ათასი ლარი, აქედან სახ. ფონდების სახსრებით საქ.მთავრობის N 480 განკარგულებით (04,02,2016წ) სოფელ ნადაბურში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე 164,6 ათასი ლარით, და საკუთარი სახსრებით 4,3 ათასი ლარი;

- სპორტის განვითარებაზე დახარჯულია 331,1 ათასი ლარი, აქედან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 5,6 ათასი ლარი, სპორტული სკოლის სუბსიდირებაზე 212, 0 ათასი ლარი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 113,5 ათასი ლარი.
- კულტურის განვითარებაზე 2017 წელს დაგეგმილი 710,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 708,5 ათასი ლარი, აქედან სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე 99,0 ათასი ლარი, ხალხური შემოქმედების სახლის სუბსიდირებაზე 31,0 ათასი ლარი, კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 269,5 ათასი ლარი, ცენტრალური ბიბლიოთეკის სუბსიდირებაზე 166,2 ათასი ლარი; ისტორიული მუზეუმის სუბსიდირებაზე 95,3 ათასი ლარი, ლიტერატურული თეატრის სუბსიდირებაზე 47,5 ათასი ლარი. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის სუბსიდირებაზე 53,2 ათასი ლარი, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე დაიხარჯა 9,5 ათასი ლარი და რელიგიის სუბსიდირებას მოხმარდა 50,0 ათასი ლარი;

2017 წლის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა სოციალური პროგრამები სულ 625,0 ათასი ლარი აქედან უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დახარჯულია 85,6 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე 440,3 ათასი ლარი მათ შორის:

- ოპერაციისა და სამედიცინო მომსახურებისთვის 406 ბენეფიციარს გაეწია დახმარება 159 069 ლარით;
- სამედიცინო კვლევებისთვის 107 ბენეფიციარს გაეწია დახმარება 30 734 ლარით;
- მედიკამენტების შესაძენად დახმარება გაეწია 409 მოქალაქეს, თანხით _ 59 522 ლარი;
- C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვისთვის საჭირო კვლევების დასაფინანსებლად დახმარება გაეწია 38 მოქალაქეს, თანხით_ 12 094 ლარი.
- კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 0-18 წლამდე ასაკის 3 ბენეფიციარს ელემენტის შესაძენად გაეწია 2995 ლარით დახმარება;

- სარიტუალო ხარჯებისთვის დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 22 გარდაცვლილის ოჯახს თანხით 4 400 ლარი.
- ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე და ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება სატრანსპორტო ხარჯით ----14 600 ლარი (14 ბენეფიციარი).
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 594 მოქალაქეს, თანხით 78 550 ლარი.
- ალილოს დღესასწაულთან დაკავშირებით 50 სოციალურად დაუცველ და უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს გაეწია 1 800 ლარის ღირებულების დახმარება საკვები პროდუქტების სახით.
- ახალი წლისთვის 210 უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება 6 300 ლარის ოდენობით.
- 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ 2 მოქალაქეს ---600 ლ (თითოეულს 300 ლ).
- ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით სამამულო ომის 13 ვეტერანს გადაერიცხა 2 600 ლ (თითოეულს 200ლ).
- დედის დღესთან დაკავშირებით 77 მრავალშვილიან (4 და მეტი) ოჯახს—4 800 ლ.
- აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 256 (დევნილებს და უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს) ოჯახს (თითოეულს 30 ლარი) ---7 680 ლარი;
- 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულის ოჯახის დახმარება ---500 ლარი;
- საქ. ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახებს, რომლებიც არ არიან ჩართულნი სახელმწიფო პროგრამაში (თითოეულს 2000 ლ.)—8000 ლ.
- ომის ვეტერანებსა და უსინათლოთა კავშირის წევრ მოქალაქეებზე _ ყოველთვიური დახმარება კომუნალური გადასახადებისათვის 26 640 ლ.
- აუტიზმის და დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით 8 ბენეფიციარს გაეწია დახმარება (თითოეულს 100 ლარი) -- 800 ლარის ოდენობით.
- ჩერნობილის ა/ე აფეთქების სალიკვიდაციო სამუშაოებისას დაზარალებულებს (8 პიროვნება) გაეწია დახმარება 800 ლარის ოდენობით

- შშმ პირთა მხარდასაჭერად დაიხარჯა 8 318 ლარი (21 ბენეფიციარი), გარდა ამისა, შშმ ბავშვების ღონისძიებებისთვის დაიხარჯა 3 327 ლარი;
- ხანდაზმულთა სოციალური დაცვის მიმართულებით დახარჯულია 1 500 ლარი;
- სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებებზე დახარჯულია 3 281 ლარი;
- ახალშობილებილთა ოჯახების დახმარების პროგრამის განსახორციელებლად დახარჯულია 28 350 ლარი (171 ახალშობილი).
- ომის ვეტერანისა და დევნილის დაკრძალვის ხარჯისთვის 8 გარდაცვლილის ოჯახს გაეწია დახმარება 2 000 ლარის ოდენობით.
- ხანძრის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე 21 ოჯახს დაზიანების კატეგორიების მიხედვით გაეწია დახმარება 29 700 ლარის ოდენობით (მათ შორის: 1-ლი კატეგორია – 19 ოჯახი, ხანძრის შედეგად დაზარალებული მე-2 კატეგორია – 2 ოჯახი).
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მერიის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა 1 500 ლარი და უბედური შემთხვევის შედეგად განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობის მქონე 1 ბენეფიციარს გაეწია შესაბამისი დახმარება.

სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის ობიექტებისათვის ინვენტარის შესაძენად 4,6 ათასი ლარი, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 28,3 ათასი ლარი, ვეტერანთა და ლტოლვილთა დასაკრძალ ხარჯებზე 2,0 ათასი ლარი და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე უსახლკარო ოჯახების საცხოვრებლად უზრუნველყოფისა და სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარებაზე 64,2 ათასი ლარი;

2018 წელი- ბიუჯეტის მაჩვენებლები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 18213,1 ათას ლარს, 2018 წლის ცხრა თვეში ბიუჯეტში მობილიზებულია 7 234,2 ათასი ლარის შემოსულობები, რაც წლიური გეგმის (13513,9 ათასი ლარი) 53,5 %-ს შეადგენს, მათ შორის:

გადასახადებიდან მუნიციპალიტეტს მიღებული აქვს 447,9 ათასი ლარი რაც წლიური გეგმის (1210,0 ათასი ლარი) 37 %-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 5869,2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (10825,8 ათასი ლარი) 53,4 %-ია; აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი - 3 399,8 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი - 103,5 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 2 365,9 ათასი ლარი, ხოლო მაღალმთიანი განვითარების ფონდიდან დაგეგმილი 320,3 ათასი ლარი ჯერ არ მიგვიღია.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია - 891,7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (1245,0 ათასი ლარი) 71,6 %-ია, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი- 27,9 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან - 43,2 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი - 1,6 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი - 26,1 ათასი ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები - 767,1 ათასი ლარი, პროცენტები- 2,1 ათასი ლარი და დაუგეგმავი არაკლასიფიცირებული შემოსავალი 23,7 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულია - 25,4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (70,0 ათასი ლარი) 36,3 %-ია, აქედან 11,9 ათასი ლარი ძირითადი აქტივების გაყიდვიდან და 13,5 ათასი ლარი არამწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან.

2018 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 4723,4 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა 2141,3 ათასი ლარი.

2018 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 9 თვის განმავლობაში მიმართული იქნა 9816,3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (18213,1 ათასი ლარი) 53,9 %-ია, მათ შორის;

- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 5840,7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის(12 667,6 ათასი ლარი) 46,1 %-ია;
- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 5023,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (11349,9 ათასი ლარი) 44,3 %-ია;
- კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 760,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (1066,6 ათასი ლარი) 71,3 %-ია;

- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები 46,78 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (228,9 ათასი ლარი) 20,4 %-ია;
- 100 %;
- სოფლის მხარდამჭერი პროგრამა წინა წლის ნაშთებიდან 9,2 ათასი ლარი, რაც წლიური წლიური გეგმის (12,2 ათასი ლარი) 75,4 %-ია;
- განათლება - 899,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (1223,6 ათასი ლარი) 73,5 %-ია;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 896,7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (1262,7 ათასი ლარი) 71,0 %-ია;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პროგრამები 525,4 ათასი ლარი რაც წლიური გეგმის (748,1 ათასი ლარი) 70,2 %-ია;
- თავდაცვა 62,7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (84,6 ათასი ლარი) 74,1 %-ია;
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 1591,3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (2226,5 ათასი ლარი) 71,5 %-ია.

გზების მშენებლობა, რეკონსტრუქციის მოვლა-შენახვაზე 2018 წლის ცხრა თვეში დახარჯულია 4965,7 ათასი ლარი, კერძოდ 2016 წლის N 175 განკარგულებით დაბაში საყრდენი კედლების მოწყობაზე დაიხარჯა 18,7 ათასი ლარი; 2015 წლის N 39 განკარგულებით ბაზალეთის გზის რეაბილიტაციაზე 15,0 ათასი ლარი; 2017 წლის N 480 განკარგულებით 708,4 ათასი ლარი საღანძილის (ვანი-ჩხერის) , მოლითის (ქვების) ვახანის და ნებოძირის გზების რეაბილიტაციასა და საპროექტო დუკუმენტაციის ღირებულების ასანაზღაურებლად; 2017 წლის N 1401 განკარგულებით 962,3 ათასი ლარი ლეღვის ცენტრალური გზის, ლეღვან-მარელისის, კიცხის -მდინარაძების უბნის, ღვერკის, სოფელ ჩრდილის, ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ხემაღალში და მანჯავიძეების უბნის გზების რეაბილიტაციაზე; 2017 წლის N 1679 განკარგულებით 398,3 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის სოფლებში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების შეკეთებაზე 2017 წლის N 2712 განკარგულებით სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების სარეაბილიტაციოდ 194,9 ათასი ლარი საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და შესრულებული

შუალედური სამუშაოების ასანაზღაურებლად. 2016 წლის N 1533 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი სახსრების ნაშთიდან 4,1 ათასი ლარი;

2018 წლის N 136 განკარგულებით 2 315,7 ათასი ლარი და მოხმარდა თეთრაწყაროს, ქროლის, ვაშლევის, საქასრიაში რკინის ხიდის უბნის, უბისაში ძინძიბურის უბნის, ნუნისის-ხიდიდან მონასტრამდე, ღარიხევის, მარელისის-კაპნარი-კელასოურის, ბორის, ზედა ლაშის, უჩამეთის, ახალსაოფლის, ხუნევის-კალოსუბნის, ნადაბურის, დეისის და გრიგალათის გზების რეაბილიტაციას 2018 წლის N 693 განკარგულებით სოფ. წიფის სასოფლო გზის მებოტენებაზე 129,2 ათასი ლარი (2017 წლის მაღალმთიანი დასახლებების განვითარების პროგრამა) წინა წლების (2014 წელი N 34 განკ.) 10,3 ათასი ლარი სპეც. ტრანსფერით. გარდა ამისა საკუთარი სახსრების თანადაფინანსებითა და სამონიტორინგო ხარჯების ასანაზღაურებლად მიმდინარე წლის ცხრა თვეში გზების რეაბილიტაციას მოხმარდა 208,8 ათასი ლარი .

ხიდებისა და ბოგირების შეკეთებაზე მიმდინარე წლის ცხრა თვეში დაგეგმილი 254,5 ათასი ლარიდან გაწეულია 51,5 ათასი ლარის ხარჯი, 20,2 %, აქედან სტიქიით დაზიანებული ხიდ-ბოგირების აღსადგენად, მ. შ. 2017 წლის N 1679 განკარგულებით 50,2 ათასი ლარი და N 2712 განკარგულებით 0,7 ათასი ლარი, ასევე საინჟინრო-მონიტორინგის ჯგუფის მომსახურებისათვის 0,7 ათასი ლარი;

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად გაწეულია 6,7 ათასი ლარი.

სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების მოწყობაზე 12,0 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებების სუბსიდირებაზე რეორგანიზაციამდე 145,5 ათასი ლარი, მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციაზე (პროექტის შედგენა) 0,4 ათასი ლარი, გარე განათების სუბსიდირებაზე რეორგანიზაციამდე 46,5 ათასი ლარი, კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციაზე 70,5 ათასი ლარი, აქედან 35,1 ათასი ლარი სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტით“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემული ორი ცალი კომპაქტორიანი თვითმცლელი

ნაგავმზიდი მანქანისა და 100 ცალი ნარჩენების კონტეინერის 2018 წელში სასესხო მომსახურებისათვის, 31,5 ათასი ლარი გარე განათებისათვის სპეცტექნიკის შესაძენად, 3,9 ათასი ლარი გარე განათების ელექტროენერჯის ქსელში დასაერთებლად და 477,1 ათასი ლარი ახლადშექმნილი ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების სუბსიდირებისათვის.

43,8 ათასი ლარი მთლიანად მოხმარდა რეორგანიზაციამდე პარკებისა და სკვერების სუბსიდირებას და 3,0 ათასი ლარი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების ანაზღაურებას.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გასული წლების სახელმწიფო ფონდების ნაშთიდან დაიხარჯა 9,2 ათასი ლარი,

სკოლამდელი განათლებაზე დახარჯულია 753.0 ათასი ლარი, სკოლა-პანსიონის სუბსიდირებაზე – 72.8 ათასი ლარი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 70.4 ათასი ლარი და განათლების ობიექტების, კერძოდ სოფელ ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ასანაზღაურებლად 3,3 ათასი ლარი.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 3,2 ათასი ლარი, სპორტული სკოლის სუბსიდირებაზე რეორგანიზაციამდე 60,8 ათასი ლარი და ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 28,1 ათასი ლარი. რეორგანიზაციის შემდეგ ახლადშექმნილ ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის სუბსიდირებაზე დახარჯულია 176,7 ათასი ლარი.

სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 79,4 ათასი ლარი, რეორგანიზაციამდე ხალხური შემოქმედების სახლის სუბსიდირებაზე 10,0 ათასი ლარი, კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 65,2 ათასი ლარი, ცენტრალური ბიბლიოთეკის სუბსიდირებაზე 45,2 ათასი ლარი, ისტორიული მუზეუმის სუბსიდირებაზე 22,4 ათასი ლარი, რ. თაბუკაშვილის სახ. ლიტ. თეატრის სუბსიდირებაზე 12,1 ათასი ლარი, ხოლო ახლად შექმნილი ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სუბსიდირებაზე 306,9 ათასი ლარი.

ა(ა)იპ ჩართულობის ცენტრის სუბსიდირებაზე 40,2 ათასი ლარი;

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 11,5 ათასი ლარი.

რელიგიის დაფინანსებაზე 35,0 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად გადაერიცხა ეპარქიას დაბაში მშენებარე საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის.

საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია 90,6 ათასი ლარი (51,8 ათასი ლარი დელეგირებით და 38,8 ათ. ლარი საკ. სახსრებით) და სოციალურ პროგრამებზე 434,8 ათასი ლარი, აქედან უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დახარჯულია 63,3 ათასი ლარი, სოციალური მიმართულებით დახარჯულია 434,8 ათ.ლარი. სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია **1801** ბენეფიციარს. მათ შორის:

- სამედიცინო კვლევებისა და მომსახურებისთვის შემოსულია 489 განცხადება. მათ შორის ადმინისტრაციული დაპირება გაიცა 466 მოქალაქეზე თანხით 214 186 ლარი;
- სამედიცინო კვლევებისა და მომსახურებისთვის ფინანსური ანგარიშსწორება მოხდა 431 მოქ. თანხით 185 657 ლარით.
- მედიკამენტის შესაძენად შემოსულია 276 განცხადება და დაკმაყოფილებულია 188 თანხით 38 260 ლარი;
- C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვისთვის საჭირო კვლევების დასაფინანსებლად დახმარება გაეწია 11 მოქალაქეს, თანხით 2096 ლარი.
- სარიტუალო ხარჯებისთვის დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 27 გარდაცვლილის ერთი უპატრონო მიცვალებულის ოჯახს თანხით 5 700 ლარი.
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიწია 2 მოქალაქეზე თანხით 350 ლარი.
- ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირთა დახმარება სატრანსპორტო ხარჯით 12 600 ლარი (15 პიროვნება საშუალოდ).
- ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება 1500 ლარი.4 პიროვნებაზე.
- ალილოს დღესასწაულთან დაკავშირებით, სოციალურად დაუცველ და უკიდურესად გაჭირვებულ 60 ოჯახს გაეწია 1500 ლარის ღირებულების დახმარება საკვები პროდუქტების სახით.
- 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ 2 მოქალაქეს ---600 ლ (თითოეულს 300 ლ).

- ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით სამამულო ომის 9 ვეტერანს გადაერიცხა 1 800 ლ (თითოეულს 200 ლ) და შეძენილი იქნა 100 ლარის სასაჩუქრე პაკეტი.
- მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად დახარჯულია 5900 ლარი (25 ოჯახი).
- საქ. ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახებს, რომლებიც არ არიან ჩართულნი სახელმწიფო პროგრამაში —4 000 ლ.
- 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული გმირის ოჯახის დახმარება 500 ლარი.
- ომის ვეტერანებს ყოველთვიური დახმარება კომუნალური გადასახადებისათვის -- 2370ლ (8 კაცი).
- უსინათლოთა კავშირის წევრ მოქალაქეებზე ყოველთვიური დახმარება კომუნალური გადასახადებისათვის 18 630 ლ (72პიროვნება).
- აუტიზმის და დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით 7 ბენეფიციარს გაეწია დახმარება (თითოეულს 100 ლარი) -- 700 ლარის ოდენობით.
- ჩერნობილის ა/ე აფეთქების სალიკვიდაციო სამუშაოებისას დაზარალებულებს (8 პიროვნება) გაეწია დახმარება 800 ლარის ოდენობით.
- შშმ პირთა დასახმარებლად დაიხარჯა 6 943 ლარი (15 ბენეფიციარი).
- კოხლერული იმპლანტით მოსარგებლე 0-დან 18 წლამდე ასაკის ბენეფიციართა ელემენტის შესაძენად დახარჯულია 3 990 ლარი (4 ბენ.).
- 100 წელს გადაცილებულთა ფინანსური დახმარება 1 000 ლარი (2 პიროვნება).
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღონისძიებაზე ტრანსპორტით მომსახურებისთვის დახარჯულია 485 ლარი.
- მარტოხელა მშობლების ფინანსური დახმარება 2200 ლარი (11 პიროვნება).
- მარჩენალდაკარგული ოჯახების დახმარება 2700 ლარი (12 პიროვნება).
- მარტოხელა მოხუცებისთვის და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის სათბობი მასალის შესაძენად დახარჯულია 10050 ლარი. იანვრის თვეში შეძენილი და 30 ოჯახზე გაცემულია 60 მ³ სათბობი მასალა. მოახლოებულ ზამთრის სეზონთან დაკავშირებით უკვე შეძენილია 60 მ³ შეშა, რომელიც დროულად იქნება დარიგებული.

- ახალშობილებილთა ოჯახების დახმარების პროგრამის განსახორციელებლად დახარჯულია 20 350ლარი (121 ოჯახი).
- ომის ვეტერანის დაკრძალვის ხარჯი შეადგენს 500 ლარს.
- სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების 1-ლი კატეგორიის მქონე 19 ოჯახს გაეწია დახმარება 26 050 ლარის ოდენობით (მათ შორის: ხანძრის შედეგად დაზარალებული 4 ოჯახი, სხვა ბუნებრივი მოვლენის შედეგად დაზარალებული 10 ოჯახი, სიძველის შედეგად დანგრეული 5 ოჯახი).

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები 2017-2022 წლებში

(ათასი ლარი)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
შემოსავლები	15,398.9	13,443.9	7,685.8	8,175.0	8,436.0	8,449.8
გადასახადები	1,300.3	1,210.0	5,997.8	6,320.0	6,566.0	6,579.8
გრანტები	13,059.9	10,988.9	138.0	150.0	150.0	150.0
სხვა შემოსავლები	1,038.7	1,245.0	1,550.0	1,705.0	1,720.0	1,720.0
ხარჯები	6,379.2	6,843.4	7,198.8	7,656.5	7,920.5	8,085.8
შრომის ანაზღაურება	1,347.1	1,649.1	1,744.4	1,717.6	1,717.6	1,717.6
საქონელი და მომსახურება	1,032.1	795.5	655.8	731.5	721.9	617.4
სუბსიდიები	3,429.1	3,586.0	3,804.0	4,267.6	4,636.1	4,850.9
გრანტები	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4
სოციალური უზრუნველყოფა	486.0	456.1	585.0	605.0	605.0	610.0

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
სხვა ხარჯები	84.5	309.2	363.7	288.9	194.0	244.0
საოპერაციო საღდო	9,019.7	6,600.5	487.0	518.5	515.5	364.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5,013.2	11,299.7	487.0	518.5	515.5	364.0
ზრდა	5,109.1	11,369.7	527.0	578.5	575.5	424.0
კლება	95.9	70.0	40.0	60.0	60.0	60.0
მთლიანი საღდო	4,006.5	-4,699.2	0.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	3,993.6	-4,699.2	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	3,993.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	3,993.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	4,699.2	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	4,699.2	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-12.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	12.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	12.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

2019-2022 წლების შემოსულობების პროგნოზი

პროგნოზული გათვლებით, 2019-2022 წლებში, ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას ზრდის ტენდენცია ექნება. 2019 წლისათვის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 7725,5 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრება. აქედან

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები 7685,8 ათასი ლარი იქნება, მათ შორის გადასახადების წილი 5997,8 ათას ლარს გაუტოლდება, 2019 წლიდან საშემოსავლო გადასახადისა და გათანაბრებითი ტრანსფერის ნაცვლად პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის 19%-დან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მიიმართება 0,52 %, რომლის ნომინალური ღირებულება შეადგენს 4947,8 ათას ლარს, რომელიც სამომავლოდ დაკორექტირდება დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით, ხოლო ქონების გადასახადი 1050,0 ათასი ლარი იქნება, გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 138,0 ათასი ლარი იქნება, როგორც ზევით აღინიშნა გათანაბრებითი ტრანსფერი აღარ იგეგმება , მიზნობრივი ტრანსფერი განსაზღვრულია 138,0 ათასი ლარი, ხოლო სხვა შემოსავლების წილი 1550,0 ათასი ლარი.

2019 წლისათვის არაფინანსური აქტივებიდან მისაღები თანხების მოცულობა 40,0 ათასი ლარია ნავარაუდები. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს მთლიანად წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსულობები და არ არის დაგეგმილი ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული თავისუფალი სახსრების (ნაშთის) გამოყენება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მოცულობები 2017-2022 წლებში

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
1	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	751.9	748.1	892.0	787.0	797.0	802.0
2	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6,094.7	12,667.6	1,745.5	1,945.5	1,887.9	1,667.2
3	განათლება	1,337.8	1,223.6	1,379.0	1,735.0	1,995.0	2,050.0

№	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
4	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,152.3	1,262.7	1,269.0	1,353.6	1,407.1	1,581.9
5	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2,080.7	2,226.5	2,351.0	2,327.0	2,322.1	2,321.8
6	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	83.8	84.6	89.3	86.9	86.9	86.9

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების
დაფინანსების მოცულობა, აღწერა, შედეგები და შეფასების ინდიკატორები**

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი
06 00)**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	751.9	748.1	892.0	787.0	797.0	802.0
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	126.9	126.9	125.0	100.0	100.0	100.0
სოციალური პროგრამები	625.0	621.2	767.0	687.0	697.0	702.0
უფასო სასაბილოს დაფინანსება	85.6	93.0	93.0	45.0	45.0	45.0
მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო, ფინანსური და სხვადასხვა სახის დახმარებების პროგრამა	440.3	420.0	550.0	550.0	550.0	550.0
სოციალური დაცვისა უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	4.6	10.0	40.0	0.0	0.0	0.0
ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახის დახმარების ხარჯები	28.3	32.0	32.0	40.0	40.0	45.0
ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვის ხარჯი	2.0	2.0	2.0	2.0	2.0	2.0

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა	64.2	64.2	50.0	50.0	60.0	60.0

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში და ნაწილობრივ საკუთარი სასხრებიდან (ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებას, რათა განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებები, კერძოდ სამიზნე კონტიგენტის პროფილაქტიკური აცრებით მოცვა, იმუნიზაციის პროცესის დაგეგმვა მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მის განხორციელებაზე მეთვალყურეობა, რათა მიღწეული იქნას ვაქცინაციით მართვად ინფექციებზე აცრებით მოცვის მაღალი მაჩვენებელი. ეპიდზედამხედველობა გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე და ამ მიზნის მისაღწევად ნებისმიერი ინფექციური დაავადების შემთხვევაში კერის ეპიდ. კვლევა და ეპიდ. ზედამხედველობა, ინფექციის წყაროს დადგენა, დაავადების რეგისტრაცია და პრევენციული ღონისძიებების გატარება. ეპიდაფეთქების შემთხვევაში კერის კვლევა, საზღვრების დადგენა, ინფექციის წყაროს გამოვლინება და ზედამხედველობა.

ფარისებრი ჯირკვლის აღმოჩენა სასკოლო ასაკში, სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში ბავშვთა გამოკვლევა პარაზიტული დაავადებების აღმოსაჩენად, მისი დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

მოსალოდნელი შედეგი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფექციისა და სხვადასხვა დაავადებათა პრევენცია და ლიკვიდაცია;

შედეგის შეფასების ინდიკატორები

პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა.

სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურეობის ხარჯების ანაზღაურება. მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და უსახლკაროთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სხვა სოციალურ ღონისძიებების გატარება, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06 02

პროგრამის დასახელება:

სოციალური პროგრამები

პროგრამის განმახორციელებელი:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2019-2022 წლები

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. სამედიცინო მომსახურებების თანადაფინანსება, შშმ ბავშვების ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები, ხანდაზმულთა სოციალური დაცვა, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, მარტოხელა მშობლების დახმარება, მარჩენალდაკარგულთა დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებების დაფინანსება. უფასო სასაბუღალტრო დაფინანსება. ახალშობილთა ოჯახების დახმარება. სოციალური დაცვის და უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა, სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

პროგრამის ზიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
უფასო სასაბუღალტრო დაფინანსება	372 000	93000	93000	93000	93000
სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობა და დახმარება	2 200 000	550000	550000	550000	550000
სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია	40 000	40000	0	0	0
ახალშობილთა ოჯახების დახმარება	157 000	32000	40000	40000	45000
დაკრძალვის ხარჯი	8 000	2000	2000	2000	2000
სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა	220 000	50000	50000	60000	60000
სულ პროგრამა	2 997 000	767000	735000	745000	750000

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის ჯანმრთელობის და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, სოციალური დაცვის ობიექტების შესაბამისობაში მოყვანა თანამედროვე მოთხოვნებთან, შშმ პირთა ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა, ოჯახების დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშეწყობა, გარდაცვლილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და დევნილთა ოჯახების თანადგომა, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური პროგრამები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 02
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობა და დახმარება

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა	
---------------------------------	--

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	
---	--

ქვეპროგრამის განმასხვავებელი:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური

დაფინანსების წყარო

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	550 000
სულ ქვეპროგრამა	550 000

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ოპერაციების, სამედიცინო გამოკვლევების, მედიკამენტების თანადაფინანსება, შშმ პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფა,

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურების, კვლევების და მედიკამენტოზური დახმარება	არ არის განსაზღვრული	100-დან 1500 ლარამდე	355000
ერთჯერადი ფინანსური დახმარება	არ არის განსაზღვრული	100 ლარამდე	30000
ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	4	500	2000
შშმპ სოციალური დაცვა და რეაბილიტაცია	არ არის განსაზღვრული	1000	35000
სოციალურად დაუცველი და/ან უპატრონო მიცვალებულის ოჯახის მხარდაჭერა	არ არის განსაზღვრული	200-250	10000
სადღესასწაულო დღეების დახმარება	არ არის განსაზღვრული	30-50	7000
ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლე პირთა და ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება	20	100-600	23000
კოხლევარული იმპლანტით მოსარგებლეთა ელემენტით უზრუნველყოფა	4	1000	4000
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ოშში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	4	2000	8000
კომუნალური ხარჯებისთვის დახმარება სამამულო ომის ვეტერანებისთვის, უსინათლოებისთვის და დევნილებისთვის	120	20-30	40000
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	55-60	200-დან 500-მდე	12000
მარტოხელა მშობლების დახმარება	25	200	3000
მარჩენალდაკარგული ბავშვების დახმარება	60	100-დან<	6000

სხვადასხვა სოციალური ღონისძიებების ორგანიზება	არ არის განსაზღვრული		15000
---	----------------------	--	-------

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურების, კვლევის და მედიკამენტოზური დახმარება	X	X	X	X
ერთჯერადი ფინანსური დახმარება	X	X	X	X
ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	X	X	X	X
შშმპ სოციალური დაცვა და რეაბილიტაცია	X	X	X	X
სოციალურად დაუცველი და/ან უპატრონო მიცვალებულის ოჯახის მხარდაჭერა	X	X	X	X
სადღესასწაულო დღეების დახმარება	X	X		X
ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლე პირთა და ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება	X	X	X	X
კოხლევარული იმპლანტი მოსარგებლეთა ელემენტით უზრუნველყოფა	X	X	X	X
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება		X		X
კომუნალური ხარჯებისთვის დახმარება სამამულო ომის ვეტერანებისთვის, უსინათლოებისთვის და დევნილებისთვის	X	X	X	X
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	X	X	X	X
მარტოხელა მშობლების დახმარება	X	X	X	X
მარჩენალდაკარგული ბავშვების დახმარება	X	X	X	X
სხვადასხვა სოციალური ღონისძიებების ორგანიზება	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2017 წელი)

სხვადასხვა საჭიროების მქონე მოქალაქეების ჯანმრთელობის და სოციალური ყოფის შემსუბუქება, შშმ პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია

- უფასო სასაბუღალტრო დაფინანსება - სათნოების სახლი (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მზრუნველობამოკლებული მოხუცების, ინვალიდების და მრავალშვილიანი ოჯახების ყოველდღიურ ერთჯერად კვებას გარდა კვირა დღისა. სასაბუღალტრო ემსახურება 73 ბენეფიციარს, მუშაობს ყველა სადღესასწაულო დღეს და დღესასწაული აღინიშნება მცირედი საჩუქრებით.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო, ფინანსური და სხვადასხვა სახის დახმარებების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური პროგრამები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 02
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობა და დახმარება

არის ქვეპროგრამა ახალი?	კი/ არა
-------------------------	---------

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	
---	--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური

დაფინანსების წყარო

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	550 000
სულ ქვეპროგრამა	550 000

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ოპერაციების, სამედიცინო გამოკვლევების, მედიკამენტების თანადაფინანსება, შშმ პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფა,

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურების, კვლევების და მედიკამენტოზური დახმარება	არ არის განსაზღვრული	100-დან 1500 ლარამდე	355000
ერთჯერადი ფინანსური დახმარება	არ არის განსაზღვრული	100 ლარამდე	30000
ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	4	500	2000
შშმპ სოციალური დაცვა და რეაბილიტაცია	არ არის განსაზღვრული	1000	35000
სოციალურად დაუცველი და/ან უპატრონო მიცვალებულის ოჯახის მხარდაჭერა	არ არის განსაზღვრული	200-250	10000
სადღესასწაულო დღეების დახმარება	არ არის განსაზღვრული	30-50	7000
ჰემოდალიზის სეანსებით მოსარგებლე პირთა და ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება	20	100-600	23000
კოხლერული იმპლანტით მოსარგებლეთა ელემენტით უზრუნველყოფა	4	1000	4000
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	4	2000	8000
კომუნალური ხარჯებისთვის დახმარება სამამულო ომის ვეტერანებისთვის, უსინათლოებისთვის და დენილებისთვის	120	20-30	40000
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	55-60	200-დან 500-მდე	12000
მარტოხელა მშობლების დახმარება	25	200	3000
მარჩენილდაკარგული ბავშვების დახმარება	60	100-დან<	6000
სხვადასხვა სოციალური ღონისძიებების ორგანიზება	არ არის განსაზღვრული		15000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურების, კვლევების და მედიკამენტოზური დახმარება	X	X	X	X
ერთჯერადი ფინანსური დახმარება	X	X	X	X
ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	X	X	X	X
შშმპ სოციალური დაცვა და რეაბილიტაცია	X	X	X	X
სოციალურად დაუცველი და/ან უპატრონო მიცვალებულის ოჯახის მხარდაჭერა	X	X	X	X
სადღესასწაულო დღეების დახმარება	X	X		X
ჰემოდალიზის სეანსებით მოსარგებლე პირთა და ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება	X	X	X	X
კოხლერული იმპლანტით მოსარგებლეთა ელემენტით უზრუნველყოფა	X	X	X	X

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება		X		X
კომუნალური ხარჯებისთვის დახმარება სამამულო ომის ვეტერანებისთვის, უსინათლოებისთვის და დევნილებისთვის	X	X	X	X
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	X	X	X	X
მარტოხელა მშობლების დახმარება	X	X	X	X
მარჩენალდაკარგული ბავშვების დახმარება	X	X	X	X
სხვადასხვა სოციალური ღონისძიებების ორგანიზება	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2017 წელი)

სხვადასხვა საჭიროების მქონე მოქალაქეების ჯანმრთელობის და სოციალური ყოფის შემსუბუქება, შშმ პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია

ა) **ოპერაციის, მედიკამენტის, სამედიცინო კვლევის და მომსახურების დაფინანსება:** ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოპერაციებისა და სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას ერთჯერადად იმ თანხის 50%-მდე, რომელიც არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, თანადაფინანსება განისაზღვრება 101 ლარიდან არაუმეტეს 700 ლარამდე, ასევე, სამედიცინო კვლევის თანადაფინანსება 50%-მდე, არაუმეტეს 500 ლარისა.

გამონაკლისის სახით, როდესაც პაციენტს გადასახდელი თანხა 2000 ლარზე მეტია, თანადაფინანსება გაიწევა 1000 ლარამდე. ონკოლოგიური დაავადებების შემთხვევაში დახმარება გაიწევა 1500 ლარამდე.

ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს მძიმე და ქრონიკული დაავადებებისას 150 ლარამდე ერთჯერად დახმარებას მედიკამენტების შესაძენად, კერძოდ:

- ეპილეფსიის;
- პარკინსონის;
- ბრონქიალური ასთმის;
- 0-6 წლამდე ასაკის ბავშვების მკურნალობისას, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს.

დახმარება გაიწევა ბენეფიციარებზე, რომლებიც რომელებიც არ მონაწილეობენ მედიკამენტებით დახმარების სახელმწიფო პროგრამაში.

ბ) C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში მცხოვრები C ჰეპატიტით დაავადებული პირებისათვის, სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე აუცილებელი, დაავადების სტადიის განსასაზღვრი გამოკვლევების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ბენეფიციარების დიაგნოსტიკებისათვის სოციალურად დაუცველთა მომსახურება განისაზღვროს კვლევის 30%-ით, ხოლო დანარჩენი მოქალაქეებისათვის 70%-ით.

გ) უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ფინანსური დახმარება:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო განიცდიან უკიდურეს გასაჭირს, ერთჯერადად ფინანსურ დახმარებას. დახმარება განისაზღვროს არაუმეტეს 100 ლარისა.

დ) 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება:

